საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აცრა

აცრა, ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში ვაქცინების ან სპეციფიკური შრატის შეყვანა ინფექციური დაავადების სამკურნალოდ ან პროფილაკტიკისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფილაკტ.-დაცვით ა-ს. საქართველოში ყვავილის ა. – ვარიოლაცია (ყვავილის ბუშტუკის შიგთავსის შეყვანა ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში დაავადების მძიმე ფორმის თავიდან ასაცილებლად) უძველესი დროიდან იყო ცნობილი და გამოჩენილი გერმ. მედიცინის ისტორიკოსების ტ. მაიერ-შტაინეგისა და კ. ზუდჰოფის აზრით, საქართველოდან არის გავრცელებული ინგლისში (იხ. მედიცინის ისტორია, მოსკოვი, 1925). ე. ჯენერის მიერ ჩატარებული ყვავილის ა-მდე 24 წლით ადრე, 1772, ი. გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ მისი თანდასწრებით 100 ბავშვს გაუკეთდა ყვავილის ა. (იხ. მისი „მოგზაურობა საქართველოში“, თბ., 1962, ტ. 1, გვ. 62–63).

რ. შენგელია